



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 155/ს
06/04/2023

155-21-4-202304061200



ქ. ფოთში, სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (№7, №12 და №14 ნავმისადგომებზე დამატებით იმპორტირებული ნაყარი ტვირთების ოპერირება ჰიდრაავლიკური ექსკავატორით) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ფოთში, ფოთის საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (№7, №12 და №14 ნავმისადგომებზე დამატებით იმპორტირებული ნაყარი ტვირთების ოპერირება ჰიდრაავლიკური ექსკავატორით) სკრინინგის განცხადება.

2009 წლის 20 თებერვალს ქ. ფოთში სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმდინარე საქმიანობაზე გაცემულია №24 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №00186 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. აღნიშნულის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2019 წლის 14 თებერვალს სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმდინარე საქმიანობაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-140).

2018 წლის 7 სექტემბერს სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის ტექნოლოგიური ციკლის ცვლილებაზე (№12 ნავმისადგომზე შავი ლითონის ჯართის გადატვირთვის ტექნოლოგიის დანერგვა) გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2021 წლის 22 ოქტომბერს ქ. ფოთში სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმდინარე საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (№7, №12, №14 და №15 ნავმისადგომებზე ნაყარი ტვირთების ოპერირება) გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საზღვაო ნავსადგური მდებარეობს ქ. ფოთში, დავით აღმაშენებლის ქ. №38-ში. იგი წარმოადგენს მრავალფუნქციურ ტერმინალს - 15 ნავმისადგომითა და ტვირთების გადასატვირთი აღჭურვილობით. არსებული ნავმისადგომის ფუნქციური დატვირთვა შემდეგია: №1 ნავმისადგომი - ნავთობპროდუქტების ტერმინალი (ნავთობპროდუქტების მიღება, დასაწყობება და

გადატვირთვა); №2 ნავმისადგომი - სარკინიგზო-საბორნე ტერმინალი, ნავთობპროდუქტების ტერმინალი (მიღება და გადატვირთვა); №3 ნავმისადგომი - ნაყარი ტვირთების მიღება და გადატვირთვა; №4 ნავმისადგომი - ნაყარი და გენერალური ტვირთებისათვის; №5 ნავმისადგომი - ნაყარი და გენერალური ტვირთებისათვის; №6 ნავმისადგომი - არ ფუნქციონირებს (არადაამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობის გამო); №7 ნავმისადგომი - მრავალმიზნობრივი ტერმინალი (საკონტეინერო ტვირთების მომსახურება და სპეციალურ კონტეინერებში დაფასოებული ნაყარი ტვირთების გემებში ჩატვირთვა); №8, ნავმისადგომი - ნაყარი და გენერალური ტვირთებისათვის; №9 ნავმისადგომი - ნაყარი და გენერალური ტვირთებისათვის; №10 ნავმისადგომები - ნაყარი და გენერალური ტვირთებისათვის; №11 ნავმისადგომი - ნავსადგურის მცურავი ერთეულების სადგომი; №12 ნავმისადგომი - ნავსადგურის მცურავი ერთეულების სადგომი, სამანქანო ტერმინალი, შავი ლითონის ჯართის გადასატვირთი ტერმინალი; №13 ნავმისადგომი - მცურავი ერთეულების სადგომი; №14 ნავმისადგომი - საკონტეინერო ტერმინალი, ერთეული გენერალური და საპროექტო ტვირთები სამანქანო ბორნებისათვის; №15 ნავმისადგომი - მარცვლეულის ტერმინალი, სადაც ტვირთი გადატვირთვა ვაკუუმმანქანით, გემი-კონვეიერი-სილოსი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ფოთის საზღვაო ნავსადგურის №7, №12 და №14 ნავმისადგომებზე, სატრანსპორტო ნაკადების მატების პარალელურად, გათვალისწინებულია იმპორტირებული ნაყარი ტვირთების რაოდენობის გაზრდა. კერძოდ, ზემოაღნიშნულ ნავმისადგომებზე დამატებით იმპორტირებული სპილენძის კონცენტრატის რაოდენობა იქნება დაახლოებით 100 000 ტ/წელ, სოიოს შროტის - 50 000 ტ/წელ, ხოლო მარცვლეულის (ხორბალი) - 20 000 ტ/წელ. ამასთან, №7, №12 და №14 ნავმისადგომებზე არსებული მდგომარეობით იმპორტირებულ ტვირთებს, დაემატება 2 სახეობის ნაყარი ტვირთი - რკინის სილიკატი 50 000 ტ/წელ და ალუმინის ბოქსიტი 25 000 ტ/წელ. გარდა ზემოაღნიშნულისა, №7, №12 და №14 ნავმისადგომებზე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული იმპორტირებული ნაყარი ტვირთები დამუშავდება განსხვავებული ტექნოლოგიის გამოყენებით. კერძოდ, არსებული მდგომარეობით, ზემოაღნიშნულ ნავმისადგომებზე იმპორტირებული ნაყარი ტვირთების გადმოტვირთვა ხორციელდება გრეიფერის მეშვეობით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, დამატებით იმპორტირებული ნაყარი ტვირთების ოპერირება განხორციელდება ჰიდრავლიკური ექსკავატორის გამოყენებით.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული №7, №12 და №14 ნავმისადგომების GPS კოორდინატებია: №7 - X-720200.64, Y4670351.54; №12 - X-719238.73, Y-4670123.91 და №14 - X-719233.47, Y-4670080.69. სკრინინგის განცხადების შესაბამისად, უახლოესი საცხოვრებელი სახლი №7 ნავმისადგომიდან დაშორებულია 200 მეტრით, №12 ნავმისადგომიდან - 260 მეტრით, ხოლო №14 ნავმისადგომიდან - 230 მეტრით.

ნავსადგურის ტექნოლოგიური რეგლამენტის მიხედვით, ცალკეულ ნავმისადგომზე იწარმოებს მხოლოდ ერთი სახეობის ტვირთის გადმოტვირთვის ოპერაცია (ერთი კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენებით). გემიდან ნაყარი ტვირთების გადმოტვირთვის ოპერაციის დაწყებამდე, ნავმისადგომზე შემოვა ჰიდრავლიკური ექსკავატორი და დადგება გემის უშუალო სიახლოვეს, ხოლო სატვირთო ავტომანქანა განთავსდება დატვირთვისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე. აღნიშნულის შემდეგ, ჰიდრავლიკური ექსკავატორი გადმოტვირთავს ტვირთს გემის ტრიუმიდან და ჩატვირთავს სატვირთოს მარაზე. გავსების შემდეგ მოხდება მარის გადახურვა

სპეციალური საფარით, რის შემდგომაც სატვირთო ავტომანქანა დატოვებს ტერიტორიას. ტვირთის ნავსადგურის აკვატორიაში მოხვედრის და წყლის დაბინძურების პრევენციის მიზნით, გემსა და ნავმისადგომს შორის დარჩენილი ღია სივრცე დაფარული იქნება ბრეზენტით. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ნავმისადგომებზე ნაყარი ტვირთების დასაწყობება გათვალისწინებული არ არის. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, ტვირთების ოპერირება არ განხორციელდება ნალექიან ამინდში. ტერიტორიის ნაყარი ტვირთის ნარჩენებისაგან დასუფთავება გათვალისწინებულია ე. წ. „სვიპერის“ გამოყენებით. რაც შეეხება გემის ტრიუმის დასუფთავებას, თავდაპირველად მასში დარჩენილი ტვირთის შეგროვება მოხდება ციცხვიანი ავტომტვირთველის ან კოვშიანი ტექნიკის მეშვეობით. მექანიკური დასუფთავების შემდგომ, მოხდება ტრიუმის ხელით დასუფთავება დოკერების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრიუმის კუთხეებში და ბოლოებში/კიდებზე დარჩენილი ტვირთის ნარჩენების შეგროვებას, რაც შეუძლებელი იყო ტექნიკის გამოყენებით. ვინაიდან, №7, №12 და №14 ნავმისადგომებზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემები არ არსებობს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა, ნაყარი ტვირთების ოპერირების პერიოდში, ნავმისადგომის ტერიტორიის დასუფთავებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულ ნავმისადგომზე გაზრდილი ნაყარი ტვირთების გადმოტვირთვის ოპერაციები დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებასთან. დოკუმენტში მოცემულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიში, მოსალოდნელი ემისიების რაოდენობრივ-ხარისხობრივი შეფასება და მავნე ნივთიერებათა გაბნევის გრაფიკული ილუსტრაციები. გაანგარიშება შესრულებულია შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, არსებულ გაფრქვევის წყაროებთან ერთად, №7, №12 და №14 ნავმისადგომებზე დამატებით ახალი ტვირთების ოპერირებისას, შეწონილი ნაწილაკების მაქსიმალური კონცენტრაციები არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ცალკეულ ნავმისადგომზე იწარმოებს მხოლოდ ერთი სახეობის ტვირთის გადმოტვირთვის ოპერაცია (ერთი კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენებით) და ნაყარი ტვირთების ნავმისადგომების ტერიტორიაზე დასაწყობება დაგეგმილი არ არის. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულ ნავმისადგომებზე დამატებით იმპორტირებული ნაყარი ტვირთების ოპერირებისას, ერთ კონკრეტულ ნავმისადგომზე ერთდროულად 2 სახეობის ტვირთის გადმოტვირთვა არ განხორციელდება, ხმაურის გავრცელების დონეების მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნავსადგურის №7, №12 და №14 ნავმისადგომების ზედაპირები დაფარულია არმირებული ბეტონის საფარით. ნავმისადგომებზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია ტერიტორიის სისტემატური დასუფთავება, კერძოდ, გეგმიურად - დღეში 2-ჯერ და ნაყარი ტვირთის გადმოტვირთვის ოპერაციის პროცესში - დღეში სამჯერ. გადმოტვირთვის ოპერაციების დამთავრების შემდეგ ჩატარდება ნავმისადგომის გენერალური დასუფთავება, რაც განხორციელდება სპეციალური მანქანის ე.წ. „სვიპერის“ საშუალებით (ასპირაციის მეთოდით). ნაყარი ტვირთების გადმოტვირთვის პროცესში, გემსა და ნავმისადგომს შორის დარჩენილი ღია სივრცე დაფარული იქნება ბრეზენტით. ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ნაყარი ტვირთების ოპერირებისთვის შერჩეული

ტექნოლოგიის (ტვირთების უშუალოდ ნავმისადგომზე განთავსების გარეშე გადმოტვირთვა) გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით წყლის გარემოზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ამასთან, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია არსებული ნავსადგურის შიდა აკვატორიის დახურულ სივრცეში, შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ტვირთების ოპერირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების გაზრდა მოსალოდნელი არ არის. ნავსადგურში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ფოთის საზღვაო ნავსადგურში არსებული მაღალი ანთროპოგენური და ტექნოგენური დატვირთვის გათვალისწინებით, წარმოდგენილი არ არის მცენარეული საფარი და ცხოველებისათვის მისაღები ჰაბიტატი. ნავსადგურის ტერიტორიაზე შესაძლებელია შეგვხვდეს მხოლოდ ცხოველთა სინანტროპული სახეობები. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობისა და დაგეგმილი ცვლილების სპეციფიკის გათვალისწინებით, ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაკავშირებული არ არის წყლის გარემოს დაბინძურების რისკების ზრდასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე ზღვის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკების გაზრდას. ავარიული სიტუაციების მართვა განხორციელდება ნავსადგურის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნაყარი ტვირთების ოპერირების პროცესში სხვა ტვირთების ოპერირება აკრძალულია. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულ ნავმისადგომებზე ადგილი არ იქნება ნაყარი ტვირთების პარალელურ რეჟიმში გადმოტვირთვას. როგორც უკვე აღინიშნა, ცალკეულ ნავმისადგომზე იწარმოებს მხოლოდ ერთი სახეობის ტვირთის გადმოტვირთვის ოპერაცია, ერთი კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით კუმულაციური ზემოქმედების მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ქ. ფოთში, სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (№7, №12 და №14 ნავმისადგომებზე დამატებით იმპორტირებული ნაყარი ტვირთების ოპერირება ჰიდრაულიკური ექსკავატორით) არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. დაგეგმილი ცვლილებების მასშტაბის და შერჩეული ტექნოლოგიური სქემის/ტექნიკური გადაწყვეტების გათვალისწინებით, მოსალოდნელი არ არის არსებული გარემოს ფონური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების

ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ფოთში, სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ფოთის საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (№7, №12 და №14 ნავმისადგომებზე დამატებული ნაყარი ტვირთების ოპერირება ჰიდრაულიკური ექსკავატორით) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 14 თებერვალს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება;
4. სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შემუშავება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგები (მონიტორინგის წერტილების კოორდინატებისა და სიხშირის მითითებით). მონიტორინგი განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
5. სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოდგენს 2019 წლის 14 თებერვალს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო